საქართველოს სახალხო დამცველის საინფორმაციო ბიულეტენი

№10 პერიოდული გამოცემა 2014 წ. ნოემბერი

გამოცემულია ევროკავშირის პროექტის „საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ხელშეწყობა" მხარდაჭერით

1. სახალხო დამცველის მისალმება

საქართველოს სახალხო დამცველი
უჩა ნანუაშვილი

ნოემბრის თვე განსაკუთრებით დატვირთული აღმოჩნდა აპარატის მიერ განხორციელებული ღონისძიებების მრავალფეროვნების, ჩვენ მიერ შემუშავებული რეკომენდაციებისა და წინადადებების სიმრავლით. აპარატში შემოსული ინდივიდუალური საჩივრების ზრდის მაღალი ტენდენცია კვლავ შენარჩუნდა. მხოლოდ 11 თვის მონაცემებით დაშვებადობაგავლილი ინდივიდუალური მომართვიანობა წინა წელთან შედარებით გაორმაგებული, ხოლო 2011—2012 წლებთან მიმართებაში თითქმის გასამმაგებულია. ზემოხსენებული მონაცემები თვალნათლივ მიუთითებს სახალხო დამცველის აპარატისადმი უფლებადარღვეული პირების მაღალ მოლოდინზე, ინსტიტუტისადმი ჩამოყალიბებულ სანდოობაზე და ბუნებრივია, ხაზს უსვამს ქვეყანაში თავისუფალი გარემოს არსებობას, როცა ადამიანები ყოველგვარი შიშის, შეზღუდვების გარეშე საუბრობენ დარღვეულ უფლებებზე, იციან უფლებების რეალიზაციის ხელშემწყობი მექანიზმების შესახებ. თუმცა ეს არ იძლევა სიმშვიდის საფუძველს და აუცილებელია კიდევ მეტი საზოგადოების ცნობიერებისკენ მიმართული საგანმანათლებლო კამპანიების დაგეგმვა—წარმართვა, მოსახლეობის ინფორმირება საკუთარი უფლებების დაცვისა და რეალიზაციის მიზნით, რაშიც სახალხო დამცველის ოფისი აპირებს ჰქონდეს უფრო გამოკვეთილი, განგრძობითი როლი.

ნოემბრის თვეში ისევ გამოვლინდა არაადამიანური და ღირსებისშემლახავი მოპყრობის სავარაუდო ფაქტები სასჯელაღსრულების მე—8 დაწესებულებაში. საგანგაშოა ის ფაქტი, რომ უმეტეს შემთხვევაში გამოძიება ჩაატარა სასჯელაღსრულების

შინაარსი:

1. სახალხო დამცველის მისალმება 1
2. მთავარი მოვლენა 3
3. სახალხო დამცველის რეკომენდაციები სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს 4
4. სახალხო დამცველის წინადადებები სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს 6
5. წარმატებული საქმეები 8
6. გასული თვის მოვლენები 9
7. სახალხო დამცველის აპარატის ცალკეული სამსახურების პერიოდული საქმიანობა 12
8. სახალხო დამცველის აპარატის რეგიონული ოფისების საქმიანობა 14
9. სხვა სიახლეები 14
10. ღირსშესანიშნავი თარიღები 17
11. საერთაშორისო სიახლეები ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით 18
12. სახალხო დამცველის აპარატის ამბები 19
13. კონტაქტი 20

და პრობაციის სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტმა და არა მთავარმა პროკურატურამ. რამდენიმე შემთხვევაში სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტმა გამოძიებაც კი არ დაიწყო და სასჯელაღსრულების დაწესებულების თანამშრომელთა და პატიმართა განმარტებების საფუძველზე ჩათვალა, რომ დანაშაულს ადგილი არ ჰქონია. უფრო მეტიც, 18 შემთხვევიდან არცერთზე არ არის ჩემთვის ცნობილი, გამოვლინდა თუ არა ბრალდებული პირი. ჩემი, საერთაშორისო ექსპერტების არაერთგზის გახმოვანებული მოთხოვნა, დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის შექმნის აუცილებლობაზე, რეაგირების გარეშე რჩება. სწორედ აღნიშნული მექანიზმი უზრუნველყოფდა მსგავსი შემთხვევების ობიექტურ, მიუკერძოებელ და ეფექტურ გამოძიებას, საზოგადოებაში არ იარსებებდა შეკითხვები გამოძიების სანდოობის მისამართით. დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის შექმნის ვალდებულება საქართველოს მთავრობამ ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნულ სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაშიც ასახა, საქართველოს პარლამენტმაც სახალხო დამცველის რეკომენდაციების შესახებ მიღებულ დადგენილებაშიც გაიზიარა ჩვენი შეხედულება, რაც მიტოვებს იმედს, რომ ამ საკითხებზე ინტენსიური მუშაობა დაიწყება და საზოგადოებისთვის, ქვეყნისთვის, ადამიანის უფლებების დაცვის მაღალი სტანდარტის დამკვიდრებისთვის სასურველი შედეგით დასრულდება. 2014 წლის 10 თვის განმავლობაში საქართველოს მთავარ პროკურატურაში 18 წინადადება მაქვს გაგზავნილი, სადაც სასჯელაღსრულების დაწესებულებაში პატიმართა მიმართ სავარაუდო არაადამიანური მოპყრობის ფაქტებზე მოვითხოვე გამოძიების დაწყება. სამწუხაროდ, მხოლოდ ერთ შემთხვევაში დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი, 1443 მუხლით. კვალიფიკაციის გარდა

ამ თვეში ტოლერანტობის საერთაშორისო დღე აღვნიშნეთ. საკმაოდ მასშტაბური ღონისძიება ჩავატარეთ, რომელსაც სახელმწიფო უწყებების, დიპლომატიური მისიების, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების, მედიის წარმომადგენლები დაესწრნენ.

მიმოვიხილეთ წლის განმავლობაში საქართველოში ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების უფლებრივი მდგომარეობა და ტოლერანტობის სფეროში არსებულ მიღწევები და პრობლემები. სახალხო დამცველთან არსებულმა ეროვნულ უმცირესობათა და რელიგიათა საბჭოებმა ტრადიციულად დააჯილდოვეს „ტოლერანტობის ქომაგები“ — ის პიროვნებები, ორგანიზაციები, მედია საშუალებები და საჯარო მოხელეები, რომლებმაც განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს ტოლერანტობის კულტურის განვითარებაში.

25 ნოემბრიდან ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, გენდერული ძალადობის წინააღმდეგ 16 დღიანი საერთაშორისო კამპანია დაიწყო, რომელიც მიზნად ისახავს საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებას და გენდერული ძალადობის მსხვერპლთა მიმართ სოლიდარობის დემონსტრირებას.ამ დღეს საქართველოში ქალთა მიმართ ძალადობის საგანგაშო ტენდენციით შევხვდით. პრობლემის მასშტაბები და სიმძაფრე მთელი სიცხადით შევიგრძენით წელს, როცა პარტნიორის ან ყოფილი პარტნიორის მხრიდან ქალთა მკვლელობის 20-ზე მეტი შემთხვევა მოხდა.

ნოემბერში სოციალურად დაუცველთათვის დახმარების რეკომენდაციით ადგილობრივი ხელისუფლების ბევრ წარმომდგენელს მივმართეთ. ზამთარი მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის რთულად გადასატანი პერიოდია. მიხარია, რომ ზოგიერთი ჩემი რეკომენდაცია გაითვალისწინეს და თუნდაც რამდენიმე ადამიანს გაუწიეს დახმარება. ვიცი, რომ ეს ზღვაში წვეთია, ასობით უსახლკარო და მიუსაფარია ქვეყანაში, მაგრამ თითოეული ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის გადარჩენა უკვე იმედს იძლევა, რომ სხვების დახმარებასაც შევძლებთ.

ნოემბერში უკრაინის საპარლამენტო კომისარს ადამიანის უფლებების საკითხებში ვალერია ლუტკოვსკას და უკრაინის მთავრობისა და პარლამენტის დელეგაციას ვუმასპინძლეთ. განვიხილეთ ჩვენს ქვეყნებში ადამიანის უფლებათა კუთხით არსებული მდგომარეობა, დავსახეთ სამომავლო თანამშრომლობის გზები. ორივე ქვეყანას აქვს ოკუპირებული ტერიტორიები, გვაქვს საერთო მიზანიც, რომელიც ევროკავშირში გაწევრიანებას უკავშირდება.

ამ თვეში საქართველოში ევროკავშირის ახალი ელჩი იანუშ ჰერმანი გავიცანი. სახალხო დამცველისა და ევროკავშირის ურთიერთობა წლებია ნაყოფიერად გრძელდება, ის ჩვენი საუკეთესო პარტნიორი და მხარდამჭერია.

ნოემბერში სახალხო დამცველთან არსებული ეროვნულ უმცირესობითა და რელიგიურ უმცირესობათა საბჭოების და ოსური ფორუმის წევრები საქართველოს პრეზიდენტს შევხვდით. ვესაუბრეთ ჩვენს პრობლემებზე და დახმარების დაპირებაც მივიღეთ. ასეთ შეხვედრებს დიდი მნიშვნელობა აქვს, მით უმეტეს, რომ ბოლო ხანებში უმცირესობების წარმომადგენელთა მიმართ ვაწყდებით შეუწყნარებლობის ფაქტების გამოვლინებას. ამ ფონზე, ბევრად წინგადადგმული ნაბიჯია დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ საქართველოს კანონის ამოქმედება. სახალხო დამცველის აპარატში უკვე დაიწყო მუშაობა თანასწორობის დეპარტამენტმა. ასევე წამოვიწყეთ საინფორმაციო

კამპანია და სპეციალური სარეკლამო რგოლიც მოვამზადეთ, რათა საქართველოს მოსახლეობამ ზუსტად იცოდეს, რა შემთხვევაში ხდება იგი დისკრიმინაციის მსხვერპლი და როგორ უნდა დაიცვას თავი.

2. მთავარი მოვლენა

სასჯელაღსრულების №8 დაწესებულების თანამშრომელთა სავარაუდო დანაშაული შესახებ

12 ნოემბერს საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულებს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის N8 დაწესებულებაში მონიტორინგისას გონივრული მიღებისა და განთავსების განყოფილებიდან ყვირილისა და ჩხუბის ხმა მოესმათ. ინციდენტის ადგილზე მისულთ, ამავე დაწესებულების დირექტორის მოადგილე და ადმინისტრაციის თანამშრომლები დახვდნენ, დერეფანში სისხლის ლაქა შეინიშნებოდა. დაწესებულების თანამშრომლები სახალხო დამცველის რწმუნებულთა დანახვამ გააღიზიანა.

სახალხო დამცველის რწმუნებულთა კატეგორიული მოთხოვნის შემდეგ, დაწესებულების თანამშრომლებმა მათ საშხაპე ოთახში დაკავებული მსჯავრდებულების ნახვის საშუალება მისცეს. ორივე დაკავებული სველი ტანსაცმლით იწვა იატაკზე. ერთ-ერთს ხელ-ფეხი ერთმანეთზე სპეციალური ჯაჭვით ჰქონდა მიბმული. ორივე პატიმარს გარეგნულად ძალადობის კვალი აღენიშნებოდა.

17 ნოემბერს საქართველოს სახალხო დამცველმა მოითხოვა - მსჯავრდებულთა მიმართ განხორციელებული შესაძლო არასათანადო მოპყრობის ფაქტზე გამოძიება დაუყოვნებლივ დაიწყოს და აწარმოოს საქართველოს მთავარმა პროკურატურამ; დროულად ჩატარდეს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა ბრალდებულების სხეულზე არსებული დაზიანებების ხარისხის, ხასიათის, ხანდაზმულობის, წარმოშობისა და განვითარების მექანიზმის დასადგენად; საგამოძიებო ორგანომ დროულად ამოიღოს მითითებული ფაქტის ამსახველი ვიდეო-ჩანაწერები.

20 ნოემბერს სახალხო დამცველმა მომხდართან დაკავშირებით და მასში მეტი სიცხადის შეტანის მიზნითა და საქმისადმი მაღალი საჯარო ინტერესის არსებობის გამო, კიდევ ერთი განცხადება გააკეთა, სადაც მიუთითებდა, რომ სახალხო დამცველის მიერ მიწოდებული მასალები და გამოძიების მიერ მოპოვებული მტკიცებულებები იძლეოდა საფუძველს, დაწყებულიყო სისხლისსამართლებრივი დევნა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის N8 დაწესებულების იმ თანამშრომლის მიმართ, რომლებიც მონაწილეობდნენ მსჯავრდებულთა შესაძლო არასათანადო მოპყრობაში.

სახალხო დამცველმა მნიშვნელოვანად მიიჩნია, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრომ შეისწავლოს რამდენად დაცული იყო საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი პროცედურული მოთხოვნები, მათ შორის, პატიმართა მიმართ სპეციალური საშუალების გამოყენების შესახებ და მიაწოდეს თუ არა მინისტრისა და დეპარტამენტის თავმჯდომარეს სპეციალური საშუალების გამოყენების საფუძვლების აღმოფხვრის შემდეგ ანგარიში. შესწავლის განმავლობაში კი, ის პირები ვისი პასუხისმგებლობის საკითხი შეიძლება იკვეთებოდეს აღნიშნული პროცედურების დარღვევის გამო, ჩამოშორებულ იქნან სამსახურიდან.

თბილისის პროკურატურიდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, გამოძიება მიმდინარეობდა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში აკრძალული ნივთით სარგებლობის, ასევე, სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების მუხლებით.

სახალხო დამცველის აზრით, ამ მუხლებით გამოძიების წარმართვა გამოძიებას არაეფექტურს ხდიდა და **24 ნოემბერს** გამართულ საგანგებო ბრიფინგზე განაცხადა, რომ პროკურატურას გამოძიება დაუყოვნებლივ უნდა დაეწყო მინიმუმ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144[3] მუხლით, რაც დანაშაულად აცხადებს არაადამიანურ მოპყრობას.

უნდა აღინიშნოს, რომ **20 ნოემბერს** სახალხო დამცველის რწმუნებულები კიდევ ერთხელ შეხვდნენ აღნიშნულ ორ პატიმარს და მათ კვლავ აღენიშნებოდათ სხეულზე დაზიანებები, ამიტომ, აქცენტის გაკეთება იმაზე, რომ დაზიანებების კვალი გამოძიების დაწყების დროისთვის უკვე წაშლილი იქნებოდა, საზოგადოების შეცდომაში შეყვანას ისახავს მიზნად.

„ამ დრომდე საქართველოს პროკურატურის მოქმედებები №8 დაწესებულებაში მომხდარ ფაქტზე, მათ შორის ჩემი რწმუნებულების დაკითხვის დროს დასმული შეკითხვები არ იყო მიმართული 12 ნოემბერს მომხდარი ფაქტის ეფექტური გამოძიებისკენ. სამწუხაროდ, გამომძიებლების ინტერესის საგანს უპირატესად წარმოადგენდა სახალხო დამცველის აპარატში შიდა საქმისწარმოების წესები და არა ის სავარაუდო დანაშაული, რომლის თვითმხილველებიც ჩემი რწმუნებულები გახდნენ და არც ის ინფორმაცია, რაც მათ პატიმრებისა და დაწესებულების თანამშრომლებისგან მიიღეს“, - განცხადა სახალხო დამცველმა პრესკონფერენციაზე.

არაეფექტურია საქართველოს მთავარი პროკურატურის პრაქტიკა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში პატიმართა სავარაუდო წამების, არაადამიანური და ღირსებისშემლახავი მოპყრო-

ბის ფაქტებზე გამოძიების დაწყების მხრივ, რაც გულისხმობს, გამოძიების დაწყების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას სასჯელაღსრულების და პრობაციის სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის გადაწყვეტილებით ხელმძღვანელობას.

აღნიშნული პრაქტიკის საწინააღმდეგოდ, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით, მთავარი პროკურორი უფლებამოსილია ქვემდებარეობის მიხედვით, ნებისმიერი სისხლის სამართლის საქმე ამოიღოს ერთ საგამოძიებო უწყებიდან და გადასცეს მეორეს. ხოლო, ადამიანის უფლებების და ეფექტური გამოძიების საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, სასჯელაღსრულების და პრობაციის სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტი, მსგავს შემთხვევებში ვერ იქნება გამოძიების მწარმოებელი დამოუკიდებელი უწყება. ეს გარემოება საქართველოს წინააღმდეგ გამოტანილ არაერთ გადაწყვეტილებაზე უკვე დაადგინა ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ.

საქართველოს პროკურატურის მოქმედებები ნათელს ხდის, რომ გარდაუვლად აუცილებელია უმოკლეს ვადებში საქართველოში შეიქმნას დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმი, რომელიც სასჯელაღსრულების დაწესებულებებში, ასევე პოლიციელთა მიერ წამების, არაადამიანური და ღირსებისშემლახავი მოპყრობის ფაქტებს გამოიძიებს. სახალხო დამცველის აპარატის მიერ შესწავლილი არაერთი საქმე მიუთითებს, რომ მთავარი პროკურატურის მუშაობა ამ მხრივ არაეფექტურია.

სასჯელაღსრულების, ისევე როგორც სხვა დახურულ დაწესებულებებში არსებული მდგომარეობა და სახალხო დამცველის აპარატის მიერ შესწავლილი საქმეები, მიუთითებს, რომ აუცილებელია პრევენციის ეროვნული მექანიზმს ჰქონდეს დახურულ დაწესებულებებში ფოტო და ვიდეო გადაღების უფლება. ამიტომ, საქართველოს სახალხო დამცველი კიდევ ერთხელ მოუწოდებს საქართველოს პარლამენტს დააჩქაროს სახალხო დამცველის აღნიშნული ინიციატივის განხილვა და მიღება.

ასევე, არსებითი მნიშვნელობისაა სახალხო დამცველს და პრევენციის ეროვნულ მექანიზმს ჰქონდეს დაშვება დახურულ დაწესებულებაში განთავსებული ვიდეო კამერების ჩანაწერებზე.

სახალხო დამცველი განსაკუთრებულად უსვამს ხაზს გამოძიების მიმდინარეობისას სასჯელაღსრულების და პრობაციის სამინისტრომ უზრუნველყოს მსჯავრდებულთა უსაფრთხოება და გამორიცხოს მათზე ნებისმიერი ზეწოლა; ამისთვის, აუცილებელია მათი სხვა დაწესებულებაში გადაყვანა.

3. სახალხო დამცველის რეკომენდაციები სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს

3.1. რეკომენდაცია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საკუთრების უფლების ხელყოფასთან დაკავშირებით

11 ნოემბერს საქართველოს სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრს, მოქალაქის საკუთრების უფლების ხელყოფასთან დაკავშირებით.

სოფელ კიკეთში მდებარე დაზუსტებული მიწის ნაკვეთი მ.ხ.-ს გარდაბნის რაიონის გამგეობის 1998 წლის დადგენილებით გადაეცა და 2001 წელს სსიპ საჯარო რეესტრშიც დარეგისტრირდა. 2008 წელს მ.ხ.-მ გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახურს ელექტრონული საკადასტრო აზომვითი ნახაზი წარუდგინა და მისი მიწის ნაკვეთზე ცვლილების რეგისტრაცია მოითხოვა. გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახურმა შეაჩერა სარეგისტრაციო წარმოება იმ მოტივით, რომ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლება რეგისტრირებული და შემდგომ გასხვისებული ქონდა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს.

საქმის შესწავლის შედეგების მიხედვით, დადგინდა, რომ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სადავო მიწის ნაკვეთის სახელმწიფო საკუთრებად რეგისტრაციის შესახებ დადგენილება, მიღებული და გამოცემულია საქართველოს კანონმდებლობის დარღვევით, რაც თავის მხრივ, არღვევს მოქალაქის საკუთრების უფლებას.

3.2. რეკომენდაცია საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს სამსახურიდან უკანონო გათავისუფლებასთან დაკავშირებით

12 ნოემბერს საქართველოს სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს, ამავე სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება საქართველოს სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის დეპარტამენტის სპეციალისტის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების კანონიერების შესწავლასთან დაკავშირებით.

საქართველოს სასაზღვრო პოლიციის უფროსის 2014 წლის 11 მარტის ბრძანებით მოქალაქე მ.ს. გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან და გადაიყვანეს კადრების განკარგულებაში, ხოლო 11 ივლისს დაითხოვეს თანამდებობიდან. ამ გადაწყვეტილებებს საფუძვლად დაედო საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის საშტატო-საორგანიზაციო ბრძანება, რომლითაც მოხდა დაწესებულების რეორგანიზაცია, თუმცა მ.ს.-ს მიერ დაკავებული შტატი არ შემცირებულა. ასევე არ მომხდარა არც სტრუქტურული ქვედანაყოფის ლიკვიდაცია; შესაბამისად, მ.ს.-ს გათავისუფლება იყო უკანონო და ამით შეილახა მისი კანონიერი უფლებები.

3.3. რეკომენდაცია ფოთის მერს

16 ნოემბერს სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა ფოთის მერს ირაკლი კაკულიას გაითვალისწინოს ფოთში უსახლკაროთა თავშესაფრით უზრუნველყოფის მხრივ შექმნილი ვითარება და საქართველოს მოქალაქეების მიერ სათანადო საცხოვრისის უფლების რეალიზაციის მიზნით, უზრუნველყოს სამოქმედო გეგმის შემუშავება; ამასთან „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონით ადგილობრივი თვითმმართველობისათვის დაკისრებული ვალდებულების ფარგლებში ბიუჯეტის ფორმირებისას გაითვალისწინოს შესაბამისი ხარჯები საბინაო ფონდის შესაქმნელად ან/და სხვა ალტერნატიული პროექტის განსახორციელებლად, რომელიც შესაძლებელს გახდის უსახლკაროთა თავშესაფრით უზრუნველყოფას.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის, სამეგრელო-ზემო სვანეთის წარმომადგენლობაში ფოთიდან მიღებული განცხადებების დიდი რაოდენობა (700-მდე ოჯახი) ცხადყოფს, რომ ფოთში ამ მიმართულებით არსებული მდგომარეობა საგანგაშოა და აღნიშნულ სფეროში ადამიანის უფლებების დარღვევები არ ატარებს ინდივიდუალურ ხასიათს და სისტემურ პრობლემად ჩამოყალიბდა.

3.4. რეკომენდაცია ახალქალაქის მუნიციპალიტეტის გამგებელს

16 ნოემბერს საქართველოს სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა ახალქალაქის მუნიციპალიტეტის გამგებელს ედუარდ აღასარიანს, გაითვალისწინოს შ.კ.-ის სოციალური სტატუსი, მისი საცხოვრებელი პირობები და უზრუნველყოს თავშესაფრით.

სახალხო დამცველმა შეისწავლა ახალქალაქის მუნიციპალიტეტში მცხოვრები სოციალურად დაუცველი, 88 წლის მარტოხელა ქალბატონის საქმე, რომელიც რკინის კონსტრუქციაში, გაუსაძლის პირობებში ცხოვრობს. მისი შემოსავლის ერთადერთ წყარო ხანდაზმულობის პენსია და სოციალური დახმარება, არ არის საკმარისი მინიმალური საყოფაცხოვრებო პირობების უზრუნველსაყოფად. ცხოვრება განსაკუთრებით მძიმეა ზამთრის პერიოდში.

შ.კ.-ს დამოუკიდებლად არ შეუძლია უზრუნველყოს ღირსეული ცხოვრებისთვის აუცილებელი მინიმალური პირობები, მათ შორის სათანადო საცხოვრებელი. ამდენად მისი უფლებების რეალიზების მიზნით, შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების მხრიდან ესაჭიროება მყისიერი და ეფექტური დახმარება

3.5. რეკომენდაცია ვანის მუნიციპალიტეტის გამგებელს

16 ნოემბერს სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა ვანის მუნიციპალიტეტის გამგებელს ზაზა ხურციძეს გაითვალისწინოს ვანის მაცხოვრებელი ერთ-ერთი ოჯახის სოციალური სტატუსი, მისი მცირეწლოვანი შვილების მდგომარეობა და უზრუნველყოს ისინი თავშესაფრით.

16 ოქტომბერს, ვანის მუნიციპალიტეტის მოსახლეობასთან შეხვედრისას, ცნობილი გახდა, ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ გადიდში მცხოვრები ნ.ბ-ს ოჯახის რთული სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ.

ქალბატონი მეუღლესთან და სამ მცირეწლოვან შვილთან ერთად, სხვის სახლში არიან დროებით შეკედლებული და მათ ოჯახს ღია ცის ქვეშ დარჩენა ემუქრება. ოჯახმა არაერთხელ მიმართა ადგილობრივ ხელისუფლებას თავშესაფრით დაკმაყოფილების მოთხოვნით, თუმცა პრობლემა დღემდე არ გადაჭრილა.

3.6. რეკომენდაცია ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგებელს

18 ნოემბერს საქართველოს სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგებელს ზაზა თუთარაშვილს, გაატაროს ეფექტური ადმინისტრაციული ღონისძიებები სოციალურად დაუცველი ოჯახის მიმართ და უზრუნველყოს ის სათანადო თავშესაფრით.

სახალხო დამცველმა შეისწავლა ზესტაფონის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ც.თ.ს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა. ც.თ.ს საცხოვრებელი სახლი 10 წლის წინ გამოვიდა მწყობრიდან და ოჯახი იძულებული გახდა თავი ნათესავებისა და მეზობლებისთვის შეეფარებინა. მას შემდეგ თავშესაფრის უზრუნველყოფის მოთხოვნით, ციალა თუთარაშვილმა, არა ერთხელ მიმართა ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგეობას, თუმცა ოჯახი დღემდე არ არის უზრუნველყოფილი სათანადო საცხოვრებლით.

4. სახალხო დამცველის წინადადებები სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს

4.1. წინადადება მთავარ პროკურორს წყალტუბოს პოლიციის მხრიდან განხორციელებულ შესაძლო დანაშაულზე

3 ნოემბერს საქართველოს სახალხო დამცველმა საქართველოს მთავარ პროკურორს შსს წყალტუბოს რაიონული სამმართველოს თანამშრომლების მხრიდან მოქალაქე დ.ხ-ს მიმართ განხორციელებულ შესაძლო დანაშაულებრივ ქმედებებთან დაკავშირებით გამოძიების დაწყებია წინადადებით მიმართა.

დ.ხ-ს ინფორმაციით, შსს წყალტუბოს რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა იგი საკუთარ სახლში დააკავეს, წაიყვანეს სოფელ გუბისწყლის ტერიტორიაზე და ყაჩაღობის ფაქტის აღიარების მიზნით უმოწყალოდ ცემეს. ცემის და წამების შემდეგ იგი ხელებზე ბორკილებდადებული მთელი ღამის განმავლობაში, ქვედა საცვლის ამარა დატოვეს ტყეში; მეორე დილის 6.00 საათზე წაიყვანეს შსს წყალტუბოს რაიონული სამმართველოში, ხოლო შემდეგ ქუთაისის დროებით მოთავსების იზოლატორში.

დ.ხ-ს განცხადებით, ვინაიდან, წამების მიუხედავად მან არ აღიარა ყაჩაღობის ჩადენის ფაქტი, შარვლის მარჯვენა წინა ჯიბეში ჩაუდეს ნარკოტიკული ნივთიერება, რომლის მოხმარების ფაქტიც შესაბამისი შემოწმების დროს არ დაუდგინდა.

განსაკუთრებით საგულისხმოა ის გარემოება, რომ შესაბამისი დოკუმენტაციის თანახმად, დ.ხ-ს დაკავების მომენტში რაიმე დაზიანების კვალი არ აღენიშნებოდა, ხოლო რამდენიმე საათში, დროებით მოთავსების იზოლატორში შემოწმების დროს, მას სხეულზე არაერთი მნიშვნელოვანი დაზიანება.

4.2. წინადადება მთავარ პროკურორს მსჯავრდებულისადმი სავარაუდო არასათანადო მოპყრობის ფაქტთან დაკავშირებით

5 ნოემბერს საქართველოს სახალხო დამცველმა წინადადებით მიმართა საქართველოს მთავარ პროკურორს, დაიწყოს გამოძიება სასჯელაღსრულების დეპარტამენტის N6 დაწესებულებაში განთავსებული მსჯავრდებულ ა.ზ-ს მიმართ სავარაუდო არასათანადო მოპყრობის ფაქტზე.

მსჯავრდებულის განცხადებით, 28-31 ოქტომბრის პერიოდში იგი ყოველდღიურად ექვემდებარებოდა არასათანადო მოპყრობას.

საქართველოს სახალხო დამცველმა მოუწოდა საქართველოს მთავარ პროკურატურას სავარაუდო არასათანადო მოპყრობის ფაქტზე გამოძიება დაუყოვნებლივ დაიწყოს და აწარმოოს საქართველოს მთავარმა პროკურატურამ; დროულად ჩატარდეს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა ა.ზ-ს სხეულზე არსებული დაზიანებების ხარისხის, ხასიათის, ხანდაზმულობის, წარმოშობისა და განვითარების მექანიზმის დასადგენად; დროულად მოხდეს მითითებული ფაქტის ამსახველი ვიდეო-ჩანაწერების ამოღება საგამოძიებო ორგანოს მიერ.

სახალხო დამცველის რწმუნებულებთან საუბრისას, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის N6 დაწესებულებაში განთავსებული სხვა მსჯავრდებულები, მიუთითებენ ამავე დაწესებულების თანამშრომლების მხრიდან განხორციელებულ არაერთ კანონდარღვევაზე. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა უკვე დაიწყო მსჯავრდებულთა განცხადებების შესწავლა და შესაბამისი სამართლებრივი რეაგირების განხორციელება.

საქართველოს სახალხო დამცველი მოუწოდებს საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს, შეისწავლოს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის №6 დაწესებულებაში არსებული მდგომარეობა და გაატაროს ყველა შესაბამისი ზომა, რათა არ დაირღვეს დაწესებულებაში მოთავსებულ პატიმართა უფლებები, გარანტირებული იყოს მათი უსაფრთხოება და ადამიანის პატივისა და ღირსების დაცვისათვის სათანადო საპატიმრო პირობები იყოს უზრუნველყოფილი.

4.3. წინადადება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში უფასო იურიდიული დახმარებით უზრუნველყოფის შესახებ

17 ნოემბერს საქართველოს სახალხო დამცველმა საკანონმდებლო წინადადებით მიმართა საქართველოს პარლამენტს „იურიდიული დახმარების შესახ-

ებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების განხორციელების თაობაზე.

„იურიდიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის ერთ-ერთ ამოსავალ მიზანს წარმოადგენს იურიდიული კონსულტაციისა და იურიდიული დახმარების გაწევის გზით, ყველა პირისთვის, საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული უფლებებით დაუბრკოლებელად სარგებლობის უზრუნველყოფა. ხსენებული კანონის მიხედვით, სასამართლოში წარმომადგენლობა უზრუნველყოფილია ადმინისტრაციულ, სამოქალაქო და სისხლის საქმეებთან დაკავშირებით, ხოლო საკონსტიტუციო სასამართლოში იურიდიული დახმარების გაწევა არ არის გათვალისწინებული. საქართველოს კონსტიტუცია ყველა ადამიანს უქმნის იმის გარანტიას, რომ თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს როგორც საერთო იურისდიქციის, ისე საკონსტიტუციო სასამართლოს.

ამასთან, „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში წარმომადგენლის დანიშვნა სავალდებულოა, თუ კონსტიტუციური სარჩელის/კონსტიტუციური წარდგინების შემტან პირთა რაოდენობა ორზე მეტია ან თუ კონსტიტუციური სარჩელის/კონსტიტუციური წარდგინების შემტანი პირი მოთავსებულია პატიმრობის ან თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში.

ბრალდებული (თუ ის დაკავებულია) და მსჯავრდებული, რომელსაც არ აქვს წვდომა ინტერნეტთან და არ მიუწვდება ხელი ტექნიკურ საშუალებებზე, სარჩელის ელექტრონული ვერსიის მოსამზადებლად ან საბანკო ოპერაციების განხორციელებაზე ბაჟის გადასახდელად, დამოუკიდებლად ვერ შეძლებს საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელის წარდგენის უფლების რეალიზაციას.

იმის გათვალისწინებით, რომ წარმომადგენლის დანიშვნის პროცედურული საკითხები არ არის რეგლამენტირებული და არც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს აქვს წარმომადგენლის დანიშვნის უფლებამოსილება, პირი მოკლებულია სამართლებრივი დაცვის საშუალებით სარგებლობას, რაც იწვევს კონსტიტუციით განმტკიცებული სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევას.

4.4. წინადადება მთავარ პროკურორს ბადრაგის ქმედებებთან დაკავშირებით

18 ნოემბერს სახალხო დამცველმა წინადადებით მიმართა მთავარ პროკურორს, დაიწყოს გამოძიება საბადრაგო სამმართველოს თანამშრომლების მხრიდან ქუთაისის №2 დაწესებულებში განთავსებულ მსჯავრდებულთა მიმართ განხორციელებული შესაძლო დანაშაულის შესწავლის მიზნით.

7 ნოემბერს სახალხო დამცველის რწმუნებულებმა ქუთაისის №2 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოინახულეს სამი მსჯავრდებული რომელთა განცხადებით, 4 ნოემბერს მათი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში ტრანსპორტირების დროს ბადრაგის თანამშრომლები პროვოკაციულად იქცეოდნენ. სასამართლოში მიყვანის შემდგომ, სამივე დროებითი მოთავსების იზოლატორის სხვადასხვა საკანში მოათავსეს, რამაც მსჯავრდებულთა პროტესტი გამოიწვია. პროტესტი ერთ-ერთ ბადრაგთან სიტყვიერ შეკამათებასა და ურთიერთ შეურაცხყოფაში გადაიზარდა, რასაც ბადრაგის მხრიდან იარაღით მუქარა მოყვა.

ბრალდებულების განმარტებით, სასამართლო პროცესის დასრულების შემდეგ, მსჯავრდებულები იზოლატორის შენობაში დაახლოებით საბადრაგო სამმართველოს ოცამდე თანამშრომელმა ცემა. შემდეგ ისინი კვლავ ქუთაისის №2 დაწესებულებაში დააბრუნეს.

მსჯავრდებულებს სახალხო დამცველის რწმუნებულებთან შეხვედრის დროს, სხეულზე მრავლობითი დაზიანებები აღენიშნებოდა. დაზიანებების არსებობას ადასტურებს ასევე დაწესებულების ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა ტრავმების აღრიცხვის ჟურნალის ჩანაწერები და 4 ნოემბერს სად-ის №2 დაწესებულების მორიგე ექიმის მიერ შედგენილი შემოსულ მსჯავრდებულთა გარეგნული დათვალიერების აქტები.

4.5. წინადადება მთავარ პროკურორს სავარაუდო არაადამიანური მოპყრობის ფაქტის გამოძიების შესახებ

18 ნოემბერს საქართველოს სახალხო დამცველმა წინადადებით მიმართა საქართველოს მთავარ პროკურორს საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის N6 დაწესებულებაში განთავსებული მსჯავრდებულ გ.ხ-ს მიმართ შესაძლო არასათანადო მოპყრობისა და ღირსების შემლახავ მდგომარეობაში ჩაყენების ფაქტზე გამოძიების დაწყების შესახებ.

სასჯელაღსრულების დეპარტამენტის №6 დაწესებულების ტრავმების აღრიცხვის ჟურნალის მიხედვით, მსჯავრდებულ გ.ხ-ს 12 ნოემბერს მრავლობითი სხეულის დაზიანებები აღენიშნებოდა.

საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულებთან საუბრისას მსჯავრდებულმა განაცხადა, რომ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის №8 დაწესებულებიდან №6 დაწესებულებაში გადაყვანის შემდეგ იგი გაუსაძლის სიცივეში, უფანჯრო სამარტოო საკანში მოათავსეს. ამასთან, არ მიეცა ჰიგიენური ნივთებით სარგებლობის საშუალება.

მსჯავრდებულის თქმით, შხაპის მიღების შესაძლებლობა არც საკანში გადაყვანის შემდეგ მიეცა; ლეიბი, საბანი და ბალიში მხოლოდ ღამით შეაქვთ მასთან და ასევე არ აქვს გასეირნების უფლება.

საქართველოს სახალხო დამცველმა საქართველოს მთავარ პროკურატურისგან გამოძიების დაუყოვნებლივ დაიწყება და სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დროულად ჩატარება მოითხოვა.

4.6. წინადადება მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ

19 ნოემბერს საქართველოს სახალხო დამცველმა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანს ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ხ.კ.-ს მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების წინადადებით მიმართა.

საქართველოს სახალხო დამცველის პოზიციით, ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოსამართლემ 2013 წლის 12 სექტემბრის განჩინებაში საერთოდ არ იმსჯელა დაცვის მხარის შუამდგომლობაზე და ყოველგვარი დასაბუთების, არგუმენტაციის გარეშე დასაშვებად ცნო მოქალაქე ი. გ.-ს მართვის ქვეშ არსებული ავტომანქანის ჩხრეკის ოქმი და აღნიშნული ავტომანქანის ჩხრეკის შედეგად ამოღებულ ცეცხლსასროლ იარაღზე ჩატარებული ექსპერტიზის დასკვნა, მიუხედავად საქართველოს კონსტიტუციისა და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით განსაზღვრული ერთმნიშვნელოვანი დანაწესის, რომ არსებითი დარღვევით მოპოვებული მტკიცებულება დაუშვებელია და იურიდიული ძალა არ გააჩნია.

5. წარმატებული საქმეები

5.1. ჟენია ჯიშკარიანის სასხოვრებლით უზრუნველყოფა მოხდა

1 ნოემბერს მიღებული ინფორმაციის თანახმად, სახალხო დამცველის რეკომენდაციის საფუძველზე წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან, ჟენია ჯიშკარიანის თავშესაფრის ასაშენებლად გამოიყო თანხა. ამ ეტაპზე მიმდინარეობს მოსამზადებელი სამუშაოები. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გუმათში, რკინის ვაგონში მცხოვრები 87 წლის მარტოხელა პენსიონერის თავშესაფრით უზრუნველყოფის შესახებ რეკომენდაცია სახალხო დამცველმა 21 ოქტომბერს გაუგზავნა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობას.

5.1. იძულებით გადაადგილებულ სოციალურად დაუცველ ოჯახს ბინის ქირა აუნაზღაურდა

1 ნოემბერს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრომ სახალხო დამცველს აცნობა, რომ სახალხო დამცველის წერილობითი მიმართვის საფუძველზე, იძულებით გადაადგილებული პირის ოჯახს ქირის საკომპენსაციო თანხას 2014 წლის დეკემბრის ჩათვლით დაფინანსებს.

იძულებით გადაადგილებული მ.რ.-ს ოჯახის მძიმე საყოფაცხოვრებო პირობების შესახებ ინფორმაცია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა მიაწოდა.

5.2. მსჯავრდებულის ეტაპირება განხორციელდა

3 ნოემბერს სახალხო დამცველს შეატყობინეს, რომ მის მიერ გაგზავნილი მიმართვის საფუძველზე სასჯელაღსრულების №14 დაწესებულების მსჯავრდებული მ.ბ №2 დაწესებულებაში გადაიყვანეს.

მსჯავრდებულმა სახალხო დამცველის სასჯელაღსრულების სხვა დაწესებულებაში გადაყვანის შუამდგომლობა სთხოვა, ვინაიდან აცხადებდა, რომ დაპირისპირება მოუვიდა დაწესებულების სხვა მსჯავრდებულებთან, რის შემდეგაც თავს უსაფრთხოდ ვერ გრძნობდა. სახალხო დამცველმა მსჯავრდებულის უსაფრთხოების და სხვა დაწესებულებაში გადაყვანის საკითხების შესასწავლად სასჯელაღსრულების დეპარტამენტს მიმართა.

5.3. სოციალურად დაუცველ არასრულწლოვანთა ოჯახი

14 ნოემბერს სახალხო დამცველს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროდან წერილობით შეატყობინეს, რომ გაითვალისწინეს სახალხო დამცველის მოთხოვნა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტის სოფელ ფხელშეში მცხოვრები 3 არასრულწლოვანი და-ძმის ოჯახს დაენიშნა საარსებო შემწეობა. ამასთან, მომზადდა შესაბამისი დასკვნა ოჯახის „კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების გადაუდებელი სახელმწიფო დახმარების“ ქვეპროგრამაში ჩართვის პროცედურების განსახორციელებლად.

5.4. შუახევის სკოლა-პანსიონი

14 ნოემბერს სახალხო დამცველისთვის ცნობილი გახდა, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გა-

ნათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს გადაწყვეტილებით, დაბა შუახევის პანსიონის ახალი კორპუსის მშენებლობის საკითხი გათვალისწინებულ იქნა „საპანსიონო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და ინვენტარით აღჭურვის“ ქვეპროგრამაში და ახალი შენობის მშენებლობის დასრულება 2015 წლის სექტემბრისთვის იგეგმება. მშენებლობის დასრულებამდე, მოქმედ შენობაში ჩატარდა სარემონტო სამუშაოები, ნაწილობრივ მოწესრიგდა ინფრასტრუქტურა.

დაბა შუახევის სკოლა-პანსიონის აღსაზრდელთა უფლებრივი მდგომარეობა საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ბავშვის უფლებათა ცენტრმა შეისწავლა და დაადგინა, რომ სკოლა-პანსიონი არასათანადო ინფრასტრუქტურული და ფიზიკური გარემოს პირობებში ფუნქციონირებდა.

საქმეზე შემდგომი რეაგირების მიზნით, ბავშვის უფლებათა ცენტრმა მიმართა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს.

5.5. მოქალაქეს დევნილის სტატუსი მიენიჭა

სახალხო დამცველის მიმართვის საფუძველზე **22 ნოემბერს** გორის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ თინა ბიძინაშვილის ოჯახს საქართველოს ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო იძულებით გადაადგილებული პირის-დევნილის სტატუსი მიანიჭა.

6. მიმდინარე მოვლენები

6.1. საქართველოს სახალხო დამცველი ოსური ფორუმის წევრებს შეხვდა

6 ნოემბერს უჩა ნანუაშვილი, სახალხო დამცველთან არსებული საკონსულტაციო საბჭოს - ოსური ფორუმის წევრებს შეხვდა და საქართველოში მცხოვრები ოსური თემის უფლებრივი მდგომარეობა განიხილა. საუბარი ძირითადად შეეხო ოსური ენის სწავლების, ოსური კულტურის საკითხებს, მოქალაქეობასთან დაკავშირებულ პრობლემებს, ე.წ. „გამყოფ ხაზთან“ დაკავებებს და პატიმრების მდგომარეობას და რესტიტუციის საკითხებს. გადაწყდა, რომ სამუშაო ჯგუფის წევრები, სახალხო დამცველის აპარატთან ერთად შეიმუშავებენ კონკრეტულ ანგარიშებს და რეკომენდაციებს, რომლებიც წარედგინება პარლამენტს და მთავრობას. შეხვედრას ესწრებოდნენ თბილისში, შიდა ქართლში და კახეთში მოქმედი ოსური არასამთავრობო და სათემო ორგანიზაციები და ადგილობრივი აქტივისტები.

სახალხო დამცველის ინიციატივით შექმნილი ოსური ფორუმი მუდმივმოქმედი სამუშაო ჯგუფია, რომელიც კონსულტირებას უწევს სახალხო დამცველს ეთნიკურად ოსი მოსახლეობის უფლებების დაცვის მიმართულებით.

6.2. მუნიციპალიტეტებში მოხელეების სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ

10 ნოემბერს საქართველოს სახალხო დამცველმა განცხადება გაავრცელა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებიდან თანამშრომელთა მასობრივი გათავისუფლების, თვითმმართველ ერთეულებში ჩატარებული რეორგანიზაციისა და თანამშრომელთა ატესტაციების კანონიერებასთან დაკავშირებით.

სახალხო დამცველის ხელთ არსებული ინფორმაციით, 2014 წლის ოქტომბრის პირველი ნახევრის მდგომარეობით თბილისის მუნიციპალიტეტში გაათავისუფლეს 387 საჯარო მოხელე, აქედან 307 მოხელე პირადი განცხადების საფუძველზე, დანარჩენ 80 შემთხვევაში ძირითადად ადგილი ჰქონდა თანამშრომელთა დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ან ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლის მოტივით გათავისუფლებას. პირადი განცხადების საფუძველზე თანამშრომელთა მასობრივი გათავისუფლების შემთხვევები ასევე ფიქსირდება სხვა მუნიციპალიტეტებში, რაც საქართველოში არსებული ეკონომიკური მდგომარეობისა და უმუშევრობის ფონის გათვალისწინებით, ეჭვქვეშ აყენებს გათავისუფლების შესახებ გამოხატული ნების ნამდვილობასა და შესაბამისად, გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების კანონიერებას.

6.3. გაეროს კონვენციის იმპლემენტაციის შესახებ პროექტის პრეზენტაცია

10 ნოემბერს საქართველოს სახალხო დამცველმა „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ გაეროს კონვენციის მე-6 მუხლის იმპლემენტაცია: არსებული გამოწვევები და სამომავლო პერსპექტივების“ შესახებ პროექტის შემაჯამებელი პრეზენტაცია გამართა.

სახალხო დამცველის შშმ პირთა უფლებების დაცვის ცენტრის წარმომადგენლები ინტენსიურად ხვდებოდნენ რეგიონებში მცხოვრებ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებს და ამ შეხვედრების შედეგად პროექტის იურისტმა ირინა ობოლაძემ მოამზადა კვლევა - „ეროვნული საკანონმდებლო ბაზის ანალიზი შშმ ქალთა უფლებების ჭრილში“.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალთა (გოგონათა) უფლებებზე ცნობიერების ამაღლების კამპანიის მიზნით რეგიონული მედიის წარმომადგენლებს ჩაუტარდა სემინარები და გამოცხადდა კონკურსი ჟურნალისტებისათვის „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალის უფლებების თაობაზე“.

სპეციალურმა კომისიამ საუკეთესო სტატიის ავტორად ნესტან ჩაგელიშვილი, ხოლო საუკეთესო ბლოგის ავტორად ივეტა წითაშვილი დაასახელა.

ღონისძიების გახსნაზე საქართველოს სახალხო დამცველმა უჩა ნანუაშვილმა, გაეროს განვითარების პროგრამის მუდმივი წარმომადგენელის მოადგილემ შომბი შარპმა და შვედეთის საელჩოს წარმომადგენელმა ჰელენა სანჩომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალთა უფლებების რეალიზების წინაშე არსებულ პრობლემებსა და მათი გადაჭრის გზებზე ისაუბრეს.

პროექტი საქართველოს სახალხო დამცველისა და გაეროს ერთობლივი პროგრამის - „გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისთვის საქართველოში“ ფარგლებში განხორციელდა.

6.4. შეხვედრა ევროკავშირის ელჩთან იანუშ ჰერმანთან

11 ნოემბერს საქართველოს სახალხო დამცველი ევროკავშირის ახალ ელჩს საქართველოში იანუშ ჰერმანს შეხვდა. შეხვედრა გაცნობითი ხასიათის იყო. მხარეებმა საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა კუთხით არსებული ვითარება მიმოიხილეს; ისაუბრეს უმცირესობათა უფლებრივ მდგომარეობაზე; ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებიდან საჯარო მოხელეთა მასობრივ გათავისუფლებაზე, ასევე დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის შექმნის აუცილებლობაზე, რომელიც სამართალდამცავი ორგანების მხრიდან ადამიანის უფლებათა დარღვევის შემთხვევებს დამოუკიდებლად შეისწავლის.

„ევროკავშირის დელეგაციისთვის საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი წარმოადგენს ინფორმაციის ძირითად ინსტიტუციას ადამიანის უფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ. გასული წლების განმავლობაში სახალხო დამცველთან ურთიერთობა ამ მიმართულებით უმნიშვნელოვანესი იყო, თუმცა ასოცირების დღის წესრიგის ამოქმედებასთან ერთად, ევროკავშირისა და სახალხო დამცველის თანამშრომლობა კიდევ უფრო ინტენსიური გახდება“ - განაცხადა ბატონმა ჰერმანმა.

სახალხო დამცველმა მადლიერება გამოხატა ევროკავშირის მიერ ინსტიტუტის გაძლიერებისთვის გაწეული დახმარებისა და ზოგადად, ქვეყანაში ადამიანის უფლებათა დაცვის მაღალი სტანდარტების დამკვიდრების ძალისხმევისთვის და გამოთქვა მზადყოფნა კიდევ უფრო გააქტიუროს თანამშრომლობა საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობასთან ქვეყანაში დემოკრატიული ინსტიტუციების მშენებლობის, ადამიანის უფლებათა დაცვის ეფექტური მექანიზმების დამკვიდრების მიმართულებით.

ევროკავშირის მიმდინარე პროექტი „სახალხო დამცველის აპარატის ხელშეწყობა“ ინსტიტუციის ერთ-ერთ მთავარ მხარდამჭერს წარმოადგენს.

6.5. უკრაინის ომბუდსმენის ვიზიტი

18 ნოემბერს სახალხო დამცველმა პრესკონფერენცია გამართა ადამიანის უფლებების საკითხებში უკრაინის საპარლამენტო კომისართან ვალერია ლუტკოვსკასთან და უკრაინის მთავრობისა და პარლამენტის დელეგაციის წევრებთან ერთად.

პრესკონფერენციაზე სახალხო დამცველმა უკრაინის ომბუდსმენთან თანამშრომლობის გაღრმავებაზე ისაუბრა. აღნიშნა, რომ უკრაინელი კოლეგების ვიზიტი, განსაკუთრებით უკრაინაში არსებული მძიმე პოლიტიკური ვითარების ფონზე, ორი ქვეყნის ინსტიტუციებს შორის მჭიდრო თანამშრომლობის სურვილის მაჩვენებელია.

„მე მინდა გამოვხატო ჩვენი მხარდაჭერა და პატივისცემა უკრაინელი ადამიანის უფლებათა დამცველების, უკრაინის სახელმწიფოსა და უკრაინელი ხალხის მიმართ. ჩვენ ძალიან ბევრი საერთო გამოწვევა გვაქვს, რომელთა ნაწილი ასევე საერთო მეზობლის ქმედებებიდან გამომდინარეობს. ორივე ქვეყანას აქვს ოკუპირებული ტერიტორიები და სამწუხაროდ, საქართველოს დიდი გამოცდილება აქვს დევნილებთან მუშაობაში.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ურთიერთობა ჩვენს ინსტიტუტებს შორის, რადგან ადამიან-

ის უფლებები პრიორიტეტულია ასოცირების ხელშეკრულების მხარე ქვეყნებისთვის. ჩვენ საერთო მიზნები გვაქვს, რომელიც ევროკავშირში გაწევრიანებას უკავშირდება“, - განაცხადა სახალხო დამცველმა უჩა ნანუაშვილმა.

უკრაინის დელეგაციის ვიზიტი ორგანიზებული იყო გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მიერ.

6.6. ეროვნულ უმცირესობათა და რელიგიათა საბჭოების წევრთა შეხვედრა საქართველოს პრეზიდენტთან

21 ნოემბერს სახალხო დამცველთან არსებული ეროვნულ უმცირესობათა და რელიგიათა საბჭოების და ოსური ფორუმის წევრები საქართველოს პრეზიდენტს შეხვდნენ.

საბჭოებისა და ფორუმის წევრებმა საქართველოს პრეზიდენტს გიორგი მარგველაშვილს მათ წინაშე არსებული პრობლემებისა და აქტუალური საკითხების შესახებ მოახსენეს. საუბარი შეეხო ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების უფლებების დაცვას, სამოქალაქო ინტეგრაციას, სახელმწიფო ენის სწავლებას, განათლებისა და კულტურის საკითხებს; ოსური თემის უფლებრივ მდგომარეობას.

განიხილეს რესტიტუციასთან დაკავშირებული პრობლემები და ახლო წარსულში მომხდარი დისკრიმინაციული და ქსენოფობიური ინციდენტები.

სახალხო დამცველმა ხელისუფლების უმაღლეს პირებთან დიალოგის აუცილებლობას გაუსვა ხაზი. მისი თქმით, ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის მნიშვნელოვანია თავს საზოგადოებრივ ცხოვრებაში გრძნობდნენ ჩართულად.

საქართველოს პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ არსებული პრობლემის მოგვარების პროცესში აუცილებელია დაცული იყოს კანონის უზენაესობის პრინციპები და გაიზარდოს სამოქალაქო აქტივობა. ამ პროცესში პრეზიდენტმა დადებითად შეაფასა სახალხო დამცველის საქმიანობა და მზადყოფნა გამოთქვა მომავალი შეხვედრებისა და თანამშრომლობისთვის.

6.7. სახალხო დამცველი თავდაცვის სამინისტროს თანამშრომლების საქმის ნაწილის განსაიდუმლოებას საჭიროდ მიიჩნევს

22 ნოემბერს საქართველოს სახალხო დამცველმა მოუწოდა საქართველოს მთავარ პროკურატურას, ასევე საქართველოს შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტროებს, მათი კომპეტენციის ფარგლებში დაჩქარდეს ე.წ. „კაბელების“ სისხლის სამართლის საქმის იმ მასალების განსაიდუმლოების პროცესი, რომლებიც არ შეიცავს საიდუმლო ინფორმაციას.

საქართველოს სახალხო დამცველისთვის საქართველოს მთავარი პროკურატურის მიერ წარმოდგენილი არგუმენტაციით, დაცვის მხარის არცერთ ადვოკატს არ ჰქონდა საიდუმლო დოკუმენტაციაზე დაშვების უფლება, რის გამოც ადვოკატებს განემარტათ, რომ ვერ მოხდებოდა მათთვის საქმის მასალების ასლების სახით გადაცემა. გამომძიებლის მიერ თითოეული ადვოკატი გაფრთხილებული იქნა სახელმწიფო საიდუმლოების გაუმჟღავნებლობაზე და მიეცათ შესაძლებლობა გაცნობოდნენ საქმის მასალებს, რაზეც ბრალდებულების ადვოკატებმა უარი განაცხადეს.

საქართველოს სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ სისხლის სამართლის საქმისთვის „საიდუმლო“ გრიფის მინიჭების გადაწყვეტილების მიღებისას აუცილებელია შეფასდეს საქმის კონკრეტული მასალისთვის (დოკუმენტისთვის) „საიდუმლო“ გრიფის მინიჭების მიზანშეწონილობა. საქართველოს სახალხო დამცველი თვლის, რომ ე.წ. „კაბელების“ სისხლის სამართლის საქმის მხოლოდ ის მასალა უნდა დასაიდუმლოებულიყო, რომელიც შეიცავს „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ ინფორმაციას.

შესაბამისად, საქართველოს სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ მიზანშეწონილია, მოცემული სისხლის სამართლის საქმის იმ ნაწილის განსაიდუმლოება, რომელიც არ შეიცავს სახელმწიფო საიდუმლოებას. ასევე, საქართველოს სახალხო დამცველის პოზიციით, მნიშვნელოვანია, უზრუნველყოფილი იქნეს გამოძიების პროცესში ბრალდებულებისთვის საქართველოს კონსტიტუციითა და საერთაშორისო აქტებით გარანტირებული ადამიანის უფლებები, მათ შორის, მხარეთა თანასწორობის პრინციპის შესაბამისად, დაცვის მხარისთვის სისხლის სამართლის საქმის მასალებზე ხელმისაწვდომობა.

6.8. ბათუმის N3 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში განვითარებული მოვლენების შესახებ

22 ნოემბერს ბათუმის №3 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში განთავსებულმა პატიმრებმა შიმ-

შილობა გამოაცხადეს. სახალხო დამცველის რწმუნებული გიორგი ჩარკვიანი ადგილზე შეხვდა და ახსნა-განმარტება ჩამოართვა არაერთ პატიმარს. მოპოვებული ინფორმაციით, პატიმრებმა №3 დაწესებულებაში არსებული პირობები გააპროტესტეს. რამდენიმემ თვითდაზიანება მიიყენა, სამი პატიმარი ეტაპირებულია სასჯელაღსრულების №7 დაწესებულებაში, სადაც ისინი ასევე მოინახულეს სახალხო დამცველის რწმუნებულებმა. ეტაპირებულ ორ მსჯავრდებულს სასჯელაღსრულების №3 დაწესებულებაში არსებული პირობების გამო მიღებული აქვთ მრავლობითი თვითდაზიანება, მსჯავრდებულებს საჭირო სამედიცინო პროცედურები ჩაუტარდათ.

პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ ჩატარებული მონიტორინგის შედეგად გაირკვა, რომ სასჯელაღსრულების №3 დაწესებულებაში გაუმართავია ვენტილაციისა და წყლის მომარაგების სისტემები, არ მოქმედებს სარეაბილიტაციო პროგრამები და არ გამართულა არცერთი კულტურული და სპორტული ღონისძიება. საქართველოს სხვა რეგიონებიდან გადმოყვანილ პატიმრებს ექმნებათ ოჯახთან და ადვოკატთან კავშირის შენარჩუნების პრობლემა. სამარტოო საკნებში არ არის ადამიანის ღირსებასთან თავსებადი პირობები. ასევე არის სამედიცინო მომსახურებასთან დაკავშირებული პრობლემები.

6.9. საჯარო დებატები: ეროვნული უმცირესობების უფლებრივი მდგომარეობა

28 ნოემბერს საქართველოს სახალხო დამცველმა ეროვნულ ბიბლიოთეკასთან ერთად საჯარო დებატები გამართა ეროვნული უმცირესობების უფლებრივი მდგომარეობის შესახებ. დებატებზე მოხსენებები წარმოადგინეს სახალხო დამცველთან არსებული ეროვნულ უმცირესობათა საბჭოს კოორდინატორმა კობა ჩოფლიანმა; სახელმწიფო მინისტრმა შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში პაატა ზაქარეიშვილმა; საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ ლია გიგაურმა; სახალხო დამცველთან არსებული ეროვნულ უმცირესობათა საბჭოს აღმასრულებელმა მდივანმა იზაბელა ოსიპოვამ. დისკუსიას მოდერაცია სახალხო დამცველმა უჩა ნანუაშვილმა გაუწია.

დებატებისას ეროვნულ უმცირესობათა ერთ-ერთ მთავარ პრობლემად განათლების ხელმისაწვდომობა დასახელდა. სახალხო დამცველი მნიშვნელოვნად მიიჩნევს საჯარო სკოლებთან სკოლამდელი განათლების ცენტრების ჩამოყალიბებას, რომლებიც ამასთანავე სახელმწიფო ენის ელემენტარულ დონეზე ცოდნას უზრუნველყოფს. ასევე მნიშვნელოვანია ეროვნული უმცირესობების მშობლიური ენის, როგორც სასწავლო ენის ასახვა საქართველოს კანონმდებლობაში, სასწავლო გეგმის დამტკიცება და სახელმძღვანელოებზე მუშაობის დაწყება. გამოწვევად რჩება ეროვნულ უმცირესობათა პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის საკითხი.

მხარეები შეთანხმდნენ, რომ სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელებაში ყველა დაინტერესებული ჯგუფი უნდა იყოს ჩართული.

სახალხო დამცველის რეკომენდაციების შესაბამისად, განათლების მინისტრის მოადგილემ წარმოადგინა კონკრეტული პროგრამები, რომელთა ნაწილსაც სამინისტრო უკვე ახორციელებს, ნაწილი კი მომდევნო წლების გეგმაშია ასახული.

7. სახალხო დამცველის აპარატის ცალკეული სამსახურის პერიოდული საქმიანობა

7.1. სახალხო დამცველის ტრენინგები ბავშვის უფლებებში

ნოემბერში სახალხო დამცველმა მცირე საოჯახო ტიპის ბავშვთა სახლებში ბავშვის უფლებების საკითხებზე ტრენინგები დაიწყო. პირველ ეტაპზე ტრენინგები აღმოსავლეთ საქართველოს 30 მცირე საოჯახო ტიპის ბავშვთა სახლში ჩატარდება.

სკოლის მოსწავლეთათვის ტრენინგი ეფუძნება ევროპის საბჭოს მიერ შემუშავებულ მოდულს „კომპასიტო“, რომელიც ბავშვებს მათი შემეცნებითი შესაძლებლობების შესატყვისი მეთოდით აცნობს კონვენციის ძირითად პრინციპებს და უფლებებს. გარდა ამისა, მოდული შეიცავს გონებრივ და ფიზიკურ სავარჯიშოებსა და სახალისო ამოცანებს, რაც ხელს უწყობს ბავშვების ჩართულობას ტრენინგის მიმდინარეობაში.

ბავშვების ტრენინგებით დაინტერესება და ჩართულობა ძალიან მაღალია.

სახალხო დამცველის აპარატი იმედოვნებს, რომ ტრენინგები ხელს შეუწყობს ადამიანის უფლებების სფეროში ბავშვების ინფორმირებულობის დონის გაზრდას და დაეხმარება მათ თავიანთი უფლებების ცხოვრებაში რეალიზებაში.

7.2. საჯარო ლექცია ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებზე საქართველოს უნივერსიტეტში

11 ნოემბერს სახალხო დამცველის აპარატის გენდერული თანასწორობის დეპარტამენტის ხელმძღვანელის ეკატერინე სხილაძის მონაწილეობით, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვის და დახმარების საკითხებთან დაკავშირებით საქართველოს უნივერსიტეტში საჯარო ლექცია გაიმართა.

შეხვედრაზე განიხილეს ოჯახში ძალადობის ძირითადი საკითხები, მსხვერპლთა დაცვისა და დახმარებისათვის საქართველოში არსებული სერვისები და მათი მუშაობა პრაქტიკაში. საჯარო ლექციის მონაწილე სტუდენტები დაინტერესდნენ ოჯახში ძალადობის წინაღმდეგ ბრძოლის სფეროში საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის როლთა და საქმიანობით.

7.3. შეხვედრები შშმ პირებთან და მათ წარმომადგენლებთან ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში

12-25 ნოემბერს გაეროს განვითარების პროგრამის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობისა და ადამიანის უფლებების დაცვის პროგრამა - „საქართველოს სახალხო დამცველის გაძლიერების პროექტის“ ფარგლებში, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის ცენტრის ხელმძღვანელმა და პროექტის იურისტმა ჩაატარეს გასვლითი შეხვედრები ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის თემაზე: ადამიანის უფლებები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებები, სახელმწიფო პროგრამები, საქართველოს სახალხო დამცველის საქმიანობის შესახებ ინფორმაცია. შეხვედრებისას მოხდა მათი საჭიროებებისა და პრობლემების იდენტიფიცირება.

7.4. შშმ პირთა უფლებების კონვენციის მონიტორინგის მექანიზმის თემაზე შექმნილი სამუშაო ჯგუფის შეხვედრა

14 ნოემბერს გაიმართა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის მონიტორინგის მექანიზმის თემაზე შექმნილი სამუშაო ჯგუფის პირველი შეხვედრა. შეხვედრას სახალხო დამცველის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის ცენტრის თანამშრომლებთან ერთად 18 ორგანიზაცია ესწრებოდა. განიხილეს მონიტორინგის მექანიზმის დამოუკიდებლობა, მექანიზმის პლურალიზმი, კონვენციის პოპულარიზაცია, შშმ პირების უფლებების დაცვა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ორგანიზაციების საბჭოს წევრების შერჩევა და მათი მუშაობის მოქნილობის გამოწვევები, ამ პროცესში რეგიონების ჩართულობა.

7.5. საერთაშორისო ორკვირიანი სწავლება-ტრენინგი

16-29 ნოემბერს მალტაში საქართველოს სახალხო დამცველის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის ცენტრის ხელმძღვანელმა ნათია ფირაშვილმა მონაწილეობა მიიღო გაეროს დაბერების საერთაშორისო ინსტიტუტის **(INIA)** ორკვირიანი სწავლება-ტრენინგში თემაზე „მადრიდის სამოქმედო გეგმის პოლიტიკის ფორმირება, დაგეგმვა, განხორციელება და მონიტორინგი“.

სწავლებას ესწრებოდნენ აღმოსავლეთ ევროპის, აზიისა და აფრიკის ქვეყნების წარმომადგენლები. საქართველოს სახალხო დამცველი გეგმავს ამ უფლების როგორც მონიტორინგის, ისე მეინსტრიმიზაციის ხელშეწყობას, პოპულარიზაციასა და ამ მიმართულებით ცნობიერების კამპანიების წარმოებას.

7.6. დეპორტაციის პროცესის მონიტორინგი

19 ნოემბერს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის პრევენციის და მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომლებმა დანიელ მგელიაშვილმა და ლევან ბეგიაშვილმა ევროკავშირის ქვეყნებიდან საქართველოს 18 მოქალაქის დეპორტაციის პროცესის მონიტორინგი განახორციელეს. საფრანგეთიდან, ჰოლანდიიდან, გერმანიიდან, დანიიდან, პოლონეთიდან და ლიტვიდან გადმოსაცემი დეპორტირებული პირები საფრანგეთისა და პოლონეთის სასაზღვრო პოლიციამ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებს გადასცა.

თბილისი - პარიზი - ვარშავა - თბილისი მარშუტით საჰაერო მგზავრობამ მშვიდობიან გარემოში ჩაიარა. შინაგან საქმეთა სამინისტროს ესკორტს ძალა ან რაიმე სახის სპეციალური საშუალება არ გამოუყენებია. სახალხო დამცველის რწმუნებულებთან საუბრისას არც დეპორტირებულებს გამოუთქვამთ პრეტენზია.

მონიტორინგის შედეგად, დეპორტირებული პირების უფლება დარღვევის ფაქტი არ გამოვლენილა.

7.7. კონფერენცია ბავშვთა უფლებების საკითხებზე

22 ნოემბერს საქართველოს სახალხო დამცველის ბავშვის უფლებების ცენტრის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს ევროპის იურისტ სტუდენტთა ასოციაციის (ELSA) მიერ ორგანიზებულ კონფერენ-

ციაზე - „ბავშვთა უფლებები.“ თამთა ბაბუნაშვილმა წარადგინა მოხსენება „ბავშვთა სახლებსა და პენიტენციურ სისტემაში განთავსებულ არასრულწლოვანთა უფლებრივი მდგომარეობის შესახებ“, ხოლო მარიამ ბოჭორიშვილმა - „საქართველოში ბავშვის უფლებების დაცვის კუთხით არსებული ზოგადი მდგომარეობის შესახებ.“

დისკუსია შეეხებოდა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების, მაღალმთიან რეგიონებში ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობის, სიღარიბისა და ცხოვრების არასათანადო დონის, ბავშვთა მიმართ ძალადობისა და სხვა სახის არასათანადო მოპყრობის, ჯანმრთელობის უფლების განხორციელებისა და სხვა რელევანტურ საკითხებს.

კონფერენციის მონაწილეები გაეცნენ საქართველოში არასრულწლოვანთა უფლებრივი მდგომარეობის მიმართულებით არსებულ პრობლემურ საკითხებსა და გამოწვევებს.

8. სახალხო დამცველის აპარატის რეგიონული ოფისების საქმიანობა

8.1. შეხვედრა სტუდენტებთან გორში

18 ნოემბერს საქართველოს სახალხო დამცველის შიდა ქართლის ოფისის ორგანიზებითა და ხელშეწყობით გორის სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტში სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ ჩატარდა სემინარი სტუდენტებისთვის.

სემინარი შეეხო სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების არსს, საკანონმდებლო რეგულაციებს, სახალხო დამცველის როლს როგორც ადამიანის უფლებების მონიტორინგის განმახორციელებელს აღნიშნულ საკითხში. სემინარზე ყურადღება გამახვილდა სახალხო დამცველის სასამართლოს მეგობრის ფუნქციაზე, რომლის ინიციატივითაც საკონსტიტუციო სასამართლოში გამოხატული აქტივობის შედეგად შევიდა ცვლილებები კანონში შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ.

8.2. შეხვედრა სტუდენტებთან ქუთაისში

20 ნოემბერს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ქუთაისის ოფისის ორგანიზებითა და ხელშეწყობით, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა შეხვედრა თემაზე „ქალთა მიმართ ძალადობა და ძალადობის აღმოფხვრის ტენდენციები“.

შეხვედრაზე აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტებმა ისაუბრეს ქალთა ძალადობისგან დაცვის ეროვნულ და საერთაშორისო მექანიზმებზე და სტანდარტებზე. წარმოადგინეს თავიანთი მოსაზრებები ქალთა მიმართ ძალადობის მიზეზებზე და ძალადობის აღმოფხვრის ტენდენციებზე. შეხვედრის ბოლოს გაიმართა დისკუსია, რომელშიც აქტიურად მიიღო მონაწილეობა მოწვეულმა სტუდენტებმა. შეხვედრა გაშუქდა ადგილობრივი ტელევიზიების მიერ.



9. სხვა სიახლეები

9.1. პროექტი კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობის უფლებების დასაცავად

1 ნოემბერიდან სახალხო დამცველის აპარატმა კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობის უფლებების დაცვის მიზნით ეთნიკურად ოსი მოსახლეობისათვის საქართველოს მოქალაქეობასთან დაკავშირებული პრობლემების შესწავლა დაიწყო.

სახალხო დამცველთან არსებული ოსური ფორუმის ინიციატივითა და დახმარებით სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლები მოიძიებენ ინფორმაციას კახეთში, შიდა ქართლში და სამცხე-ჯავახეთში მცხოვრები ოსი მოსახლეობის შესახებ, რომელთაც ან უწყდებათ საქართველოს მოქალაქეობა ან საერთოდ ვერ ახერხებენ მის მიღებას.

პირველი ასეთი ვიზიტი შედგა **25 ნოემბერს** ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ფონაში, სადაც სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლები მედეა ტურაშვილი და აკაკი კუხალეიშვილი ადგილობრივ მოსახლეობას შეხვდნენ და მათ პრობლემებს გაეცნენ.

კვლევა ევროსაბჭოს და შვეიცარიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში ხორციელდება.

9.2. სასამართლომ სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად ცნო

6 ნოემბერს საქართველოს სახალხო დამცველის კანონიერი მოთხოვნის შეუსრულებლობის გამო, თბილისის საქალაქო სასამართლომ ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად ცნო სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე დიმიტრი ქუმსიშვილი და სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის ზომად 800 ლარის ოდენობით ჯარიმა შეუფარდა.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა ერთ-ერთი საქმის შესწავლისთვის საჭირო ინფორმაციის გამოთხოვის მიზნით წერილობით მიმართა სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარეს დიმიტრი ქუმსიშვილს. დიმიტრი ქუმსიშვილმა საქმის შესწავლისათვის საჭირო ინფორმაცია სახალხო დამცველს კანონით დადგენილ ვადაში არ მიაწოდა, რაც ისჯება კანონით და იწვევს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას.

9.3. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ აქციასთან დაკავშირებით

15 ნოემბერს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა მონიტორინგი გაუწია თბილისში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიერ ორგანიზებულ აქციას. სახალხო დამცველის წარმომადგენლებისგან შემდგარი ხუთი მობილური ჯგუფი ღონისძიების მიმდინარეობისას აკვირდებოდა, რათა შესაბამისი რეაგირება მოეხდინა სავარაუდო ადამიანის უფლებათა დარღვევის შემთხვევაში. აქციამ ექსცესებისა და დარღვევების გარეშე ჩაიარა.

9.4. სასწავლო ვიზიტი ესპანეთში ოჯახში ძალადობის საკითხებზე

17-21 ნოემბერს ესპანეთში სასწავლო ვიზიტი მოეწყო ოჯახში ძალადობისა და გენდერული ნიშნით ძალადობის საკითხებზე. სასწავლო ვიზიტში მონაწილეობა მიიღო სახალხო დამცველის აპარატის გენდერული თანასწორობის დეპარტამენტის უფროსმა ეკატერინე სხილაძემ.

საქართველოს დელეგაციაში წარმოდგენილი იყვნენ გაეროს ქალთა ორგანიზაციისა და სხვადასხვა სამთავრობო უწყებების წარმომადგენლები. ვიზიტის ფარგლებში მონაწილეები დეტალურად გაეცნენ ესპანეთში ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებს პრევენციის, მსხვერპლთა დაცვის, დახმარებისა და რეაბილიტაციის სფეროში არსებული ინსტიტუციურ და საკანონმდებლო პრაქტიკას.

ღონისძიება გაეროს ქალთა ორგანიზაციისა და გაეროს პროგრამის „გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისათვის საქართველოში“ ერთობლივი ორგანიზებით გაიმართა.

9.5. შეხვედრა ახალგორელ ახალგაზრდებთან

22 ნოემბერს სახალხო დამცველის მრჩეველი მედეა ტურაშვილი ახალგორელ ახალგაზრდებს შეხვდა და სახალხო დამცველის საქმიანობაზე ესაუბრა. აქცენტი გაკეთდა კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობის უფლებებზე. ახალგაზრდებმა მუნიციპალიტეტში არსებულ მწვავე პრობლემებზე ისაუბრეს, კონკრეტულად კი გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვაზე, არაკვალიფიციური საშუალო განათლებისა და სამედიცინო მომსახურების პრობლემასა და ახალგაზრდებისათვის არასახარბიელო გარემოზე.

სახალხო დამცველის აპარატი აპირებს აქტიურად ჩაერთოს კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობისათვის განკუთვნილ საგანმანათლებლო პროექტებში, რათა მოხდეს ახალგაზრდების ცოდნის ამაღლება მათი უფლებებისა და თავისუფლებების თაობაზე.

9.6. ტრენინგი ჟურნალისტებისათვის გენდერული საკითხების გაშუქებაზე

21-23 ნოემბერს, გუდაურში ევროკავშირის პროექტის „სახალხო დამცველის აპარატის ხელშეწყობა“ მხარდაჭერით სახალხო დამცველის აპარატმა ჟურნალისტებისთვის ჩაატარა ტრენინგი თემაზე: გენდერული საკითხების გაშუქება და ჟურნალისტური ეთიკა.

ტრენინგი ორ ძირითად მიზანს ემსახურებოდა: გენდერული პრობლემების გასაშუქებლად ჟურნალისტთა წახალისება და გენდერულ საკითხებზე სიუჟეტის მომზადებისას/წერისას ეთიკური სტანდარტების დანერგვის ხელშეწყობა. ტრენინგში 20-მდე ჟურნალისტი მონაწილეობდა.

სახალხო დამცველის აპარატის გენდერული თანასწორობის დეპარტამენტის ხელმძღვანელთან ეკატერინე სხილაძესთან ერთად ტრენინგს უძღვე-

ბოდნენ გენდერის საკითხთა ექსპერტი ეკა აღდგომელაშვილი და საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის საბჭოს თავმჯდომარე ზვიად ქორიძე.

9.7. კონკურსი სტუდენტებისთვის თემაზე – „იძულებით გადაადგილება – დევნილობა საქართველოში“

25 ნოებერს საქართველოს სახალხო დამცველმა გამოაცხადა კონკურსი თავისუფალ თემაზე „იძულებით გადაადგილება - დევნილობა და განვითარება საქართველოში“.

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ საქართველოს აკრედიტებული უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებს. კონკურსის ორგანიზატორია „იძულებით გადაადგილებულ პირთა და კონფლიქტით დაზარალებულთა საკითხებში საქართველოს სახალხო დამცველის დახმარების პროექტი“, რომელსაც გაეროს ლტოლვითა უმაღლესი კომისარიატისა და ევროსაბჭოს ოფისები აფინანსებს.

კონკურსში გამარჯვებულებს გამოავლენს სახალხო დამცველის მიერ მოწვეული სპეციალური კომისია. კონკურსის მონაწილეებმა ნაშრომები უნდა წარმოადგინონ 2014 წლის 31 დეკემბრამდე.

9.8. საქართველოს სახალხო დამცველი გაეროს ქალთა ორგანიზაციის საერთაშორისო კამპანიას „მამაკაცები ქალის უფლებებისთვის“ შეუერთდა

25 ნოემბერს ქალთა მიმართ ძალადობასთან ბრძოლის საერთაშორისო დღეს გაეროს ქალთა ორგანიზაციამ ქალთა და გოგონათა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ მიმართული შეხვედრა გამართა. პარალელურად, ოფიციალურად გაიხსნა ახალი გლობალური კამპანია „ჩეფორშჰე“ - კაცების სოლიდარობის მოძრაობა გენდერული თანასწორობისთვის.

მოძრაობის გახსნის საზეიმო ცერემონიაზე, გაეროს ქალთა ორგანიზაციის მიწვევით, საქართველოს სახალხო დამცველმა, უჩა ნანუაშვილმა ხელმოწერით დაადასტურა მოძრაობის ოფიციალური მხარდაჭერა. მხარდაჭერა ასევე გამოხატეს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ დავით უსუფაშვილმა, გაეროს მუდმივმა წარმომადგენელმა საქართველოში ნილს სკოტმა, აშშ-ს ელჩმა საქართველოში რიჩარდ ნორლანდმა, საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის ხელმძღვანელმა იანუშ ჰერმანმა, საქართველოს რაგბის კავშირისა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენლებმა.

ხელმოწერის ცერემონიაზე სიტყვით გამოსვლისას საქართველოს სახალხო დამცველმა ისაუბრა ქალთა მიმართ ძალადობის მასშტაბებსა და სიმძაფრეზე საქართველოში, აღნიშნა მამაკაცების, როგორც ქალთა უფლებადამცველების ჩართულობის მნიშვნელობა და კიდევ ერთხელ დააფიქსირა მტკიცე პოზიცია ქალთა და გოგონათა მიმართ ძალადობის საკითხებთან დაკავშირებით საერთაშორისო მოძრაობაში მონაწილეობის მნიშვნელობაზე.

9.9. სასამართლომ ხულოს მუნიციპალიტეტის გამგებელი ბესიკ ბაუჩაძე ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად ცნო

26 ნოემბერს, საქართველოს სახალხო დამცველის კანონიერი მოთხოვნის შეუსრულებლობის გამო, ხულოს რაიონულმა სასამართლომ ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად ცნო ხულოს მუნიციპალიტეტის გამგებელი ბესიკ ბაუჩაძე და სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის ზომად 800 ლარის ოდენობით ჯარიმა შეუფარდა.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა ერთ-ერთი საქმის შესწავლისთვის საჭირო ინფორმაციის გამოთხოვის მიზნით, წერილობით მიმართა ხულოს მუნიციპალიტეტის გამგებელს ბესიკ ბაუჩაძეს, რომელმაც არ შეასრულა სახალხო დამცველის კანონიერი მოთხოვნა და საქმის შესწავლისათვის საჭირო ინფორმაცია სახალხო დამცველს კანონით დადგენილ 10 დღიან ვადაში არ მიაწოდა, რაც ისჯება კანონით და იწვევს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას.

9.10. სახალხო დამცველი მუსლიმი მესხების საკითხზე გამართულ კონფერენციას დაესწრო

28 ნოემბერს სახალხო დამცველი მუსლიმი მესხების გადასახლებიდან 70 წლისადმი მიძღვნილ ღონისძიებას დაესწრო, რომელიც თბილისში საზოგადოება „ვათანის“ ორგანიზებით გაიმართა. სახალხო დამცველმა კონფერენციაზე სიტყვით გამოსვლისას ხაზი გაუსვა რეპატრიაციის პროცესის დაჩქარების აუცილებლობას და იმ პრობლემატიკის მოგვარებას, რომელიც სახელმწიფოს ვალდებულებაში შედის. უჩა ნანუაშვილმა რეპატრიანტების

საკითხზე მომუშავე 2011 წელს შექმნილი უწყებათაშორისი საბჭოს მუშაობაც განიხილა.
სახალხო დამცველმა დადებითად შეაფასა საქართველოს მთავრობის მიერ რეპატრიანტთა საქართველოში დაბრუნების შესახებ მიღებულ სახელმწიფო სტრატეგია, თუმცა აღნიშნა, რომ დოკუმენტის იმპლემენტაციისთვის აუცილებელია დროული სამოქმედო გეგმის შემუშავება.

9.11. სახალხო დამცველის მოადგილის გამოსვლა კატო მიქელაძის სახელობის პრემიის საზეიმო გადაცემისას

28 ნოემბერს ქალთა უფლებების დამცველთათვის დაწესებული კატო მიქელაძის სახელობის პრემიის გამარჯვებულის საზეიმო დაჯილოდების ცერემონია გაიმართა. წელს, პრემია ქალთა ფონდ „ტასოს“ ხელმძღვანელმა მარინა თაბუკაშვილმა მიიღო.

საქართველოს სახალხო დამცველის მოადგილემ პაატა ბელთაძემ გამარჯვებულსა და ღონისძიების სხვა მონაწილეებს ქალთა უფლებების დამცველთა საერთაშორისო დღე მიულოცა და ქვეყნის დემოკრატიული განვითარების საქმეში ქალთა უფლებების დამცველთა განუზომელი წვლილის შესახებ ისაუბრა; ამასთან, ხაზი გაუსვა ქალბატონ მარინა თაბუკაშვილის ღვაწლს ქალთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებისა და განსაკუთრებით, სოფლად მცხოვრებ ქალთა ხელშეწყობის საკითხებში.

10. ღირსშესანიშნავი თარიღები

10.1. 15 ნოემბერი საბჭოთა ხელისუფლების მიერ მუსლიმი მესხების დეპორტაციის დღეა

1999 წელს საქართველოს მთავრობამ ევროპის საბჭოს წინაშე XX საუკუნის 40-იან წლებში საბჭოთა რეჟიმის მიერ სამხრეთ საქართველოდან დეპორტირებული მოსახლეობის რეპატრიაციის ვალდებულება აიღო, თუმცა აღნიშნული პროცესი ჯერ არ დასრულებულა.

სახალხო დამცველი ყოველწლიურ საპარლამენტო ანგარიშებში განიხილავს მუსლიმი მესხების რეპატრიაციასთან დაკავშირებულ პრობლემებს. დეპორტირებულთა ოჯახებისათვის სამშობლოში ღირსეული დაბრუნების შესაძლებლობისა და ხელშეწყობის მიზნით, საჭიროა კანონმდებლობის დახვეწა, რეპატრიაციისა და რეინტეგრაციის პოლიტიკის გაუმჯობესება, ასევე რეპატრირებულთათვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების საკითხის გადაწყვეტა, რაც მათ საქართველოში ინტეგრაციისა და საზოგადოებრივ თუ პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის მიღებისათვის არსებითი მნიშვნელობისაა. სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ ერთ-ერთი უმთავრესი გამოწვევა არის ცნობიერების ამაღლება, როგორც დეპორტირებულ, ისე მასპინძელ საზოგადოებაში.

საქართველოს სახალხო დამცველი აკვირდება საქართველოს მიერ აღებული ვალდებულების შესრულების პროცესს, რათა დაცული იყოს მუსლიმი მესხების ძირითადი უფლებები დაბრუნებისა და ადგილზე ინტეგრაციის პროცესში.

10.2. ტოლერანტობის საერთაშორისო დღე

17 ნოემბერს საქართველოს სახალხო დამცველმა ტოლერანტობის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებას უმასპინძლა. ღონისძიებას ესწრებოდნენ სახელმწიფო უწყებების, დიპლომატიური მისიების, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების, მედიის და რელიგიათა და ეთნიკურ უმცირესობათა საბჭოების წარმომადგენლები.

„რამდენად იძლევა ჩვენი ქვეყნის დღევანდელი რეალობა, იმის თქმის უფლებას, რომ ჩვენ ვართ ტოლერანტულები, რომ სახელმწიფო ერთნაირად უზრუნველყოფს და იცავს ყველა მოქალაქის, ყველა ადამიანის რელიგიის თავისუფლებას, რამდენად არიან დაცული დისკრიმინაციული მოპყრობისგან განსხვავებული ეთნოსის, კანის ფერის, რასის, სექსუალური ორიენტაციის მქონე ადამიანები, რამდენად არიან დაცული ქალები ძალადობისგან, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები დამამცირებელი მოპყრობისგან?“ - განაცხადა საქართველოს სახალხო დამცველმა უჩა ნანუაშვილმა ღონისძიების გახსნაზე.

აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მისიის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელმა ტომას მორისმა ტოლერანტობის კულტურის დამკვიდრების საქმეში საქართველო-ამერიკის მჭიდრო თანამშრომლობაზე ისაუბრა.

სახალხო დამცველთან არსებული ტოლერანტობის ცენტრის ხელმძღვანელმა ბექა მინდიაშვილმა მიმოიხილა 2014 წლის განმავლობაში საქართველოში ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების უფლებრივი მდგომარეობა და ტოლერანტობის სფეროში არსებულ მიღწევები და პრობლემები.

ღონისძიებაზე დააჯილდოვეს „ტოლერანტობის ქომაგები“ - ის პიროვნებები, ორგანიზაციები, მედია საშუალებები და საჯარო მოხელეები, რომლებმაც

საქართველოში 2014 წელს ტოლერანტობის კულტურის განვითარებაში განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს. ასევე, დააჯილდოვეს ჟურნალისტური კონკურსის „ტოლერანტობა და მრავალფეროვნება“ გამარჯვებულები.

ღონისძიების ორგანიზატორი იყო სახალხო დამცველთან არსებული ტოლერანტობის ცენტრი, აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ დაფინანსებული საქართველოს გაეროს ასოციაციის (UNAG) პროექტის „ეროვნული ინტეგრაციის გაძლიერება“ მხარდაჭერით.

10.3. ბავშვის უფლებათა კონვენციის 25 წლისთავი

20 ნოემბერს გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის 25 წლისთავის აღსანიშნავად, სახალხო დამცველის ბავშვის უფლებების ცენტრის ორგანიზებით თბილისის მე-60 საბავშვო ბაღის ტერიტორიაზე 100 ძირი ნერგი დაირგა.

გამწვანების აქციაში სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლებთან ერთად სახალხო დამცველის ბავშვის უფლებების ცენტრთან არსებული ახალგაზრდული საბჭოს წევრები და თბილისის ევროპული სკოლის მოსწავლეები იღებდნენ მონაწილეობას.

10.4. განცხადება ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით

25 ნოემბერს, ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის საერთაშორისო დღეს საქართველოს სახალხო დამცველმა სპეციალური განცხადება გააკეთა, სადაც საქართველოში ქალთა მიმართ ძალადობის საგანგაშო ტენდენციაზე ისაუბრა.

მისი თქმით, ძალადობის წინააღმდეგ ეფექტურად საბრძოლველად მნიშვნელოვანია, გავაცნობიეროთ, რომ ქალთა მიმართ ძალადობის გამომწვევი უმთავრესი მიზეზი, გენდერული უთანასწორობა.

„დღეს აშკარაა, რომ ძალადობის ამ ტალღის წინააღმდეგ ბრძოლაში არ გვაქვს ერთიანი ხედვა. სამწუხაროდ, ჩემს საგანგებო მიმართვაზე პარლამენტის მიმართ, განსაკუთრებული მსჯელობის საგნად ექცია ფემიციდი, მოეწვია მთავრობის შესაბამისი წარმომადგენლები და გვემსჯელა მიზეზებზე, დასახულიყო მოქმედების ერთიანი ეროვნული სტრატეგია, გამოხმაურება დღემდე არ მიმიღია.

აუცილებელია სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებმა გამოიყენონ ყველა არსებული ბერკეტი ძალადობის შესაჩერებლად. საზოგადოებამ უნდა დაარღვიოს დუმილი და ხმამაღლა თქვას, რომ ქალთა მიმართ ძალადობა საზოგადოებისათვის საშიში დანაშაულია“, - განაცხადა სახალხო დამცველმა.

25 ნოემბერს ასევე დაიწყო 16 დღიანი საერთაშორისო კამპანია გენდერული ძალადობის წინააღმდეგ, რომელიც მიზნად ისახავს საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებას და გენდერული ძალადობის მსხვერპლთა მიმართ სოლიდარობის დემონსტრირებას.

10.5. განცხადება ქალთა უფლებების დამცველთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით

29 ნოემბერს სრულიად მსოფლიო აღნიშნავს ქალთა უფლებების დამცველთა საერთაშორისო დღეს, რომელიც 2004 წლიდან ქალთა უფლებების დამცველთა ღვაწლისა და მათი უშიშარი ბრძოლის აღსანიშნავად დაწესდა.

საქართველოს სახალხო დამცველმა თავისი პატივისცემა გამოხატა საქართველოსა და მსოფლიოში მოღვაწე ქალთა უფლებების დამცველთა მიმართ.

იყო ქალთა უფლებების დამცველი, ეს დიდი პასუხისმგებლობაა, რადგან გიწევს ისაუბრო ტაბუდადებულ თემებზე, დაარღვიო დუმილის კულტურა, შეცვალო საზოგადოებაში არსებული სტერეოტიპული შეხედულებები და ისაუბრო ძალადობაზე, შიშსა და დისკრიმინაციაზე, რომელსაც ქალები ცხოვრების სხვადასხვა სფეროებში განიცდიან. მსოფლიო მასშტაბით უამრავი ქალთა უფლებების დამცველი განიცდის შევიწროებასა და ძალადობას მათი საქმიანობის გამო.

ქალთა უფლებების დამცველებს განუზომელი წვლილი შეაქვთ სახელმწიფოთა დემოკრატიული განვითარების, სამართლიანობისა და თანასწორობის პრინციპების დამკვიდრების საკითხში. რთულია დაიცვა სხვათა უფლებები, იყო აქტიური და იბრძოლო თანასწორობისათვის, თუ შენი საქმიანობის გამო განიცდი შიშსა და ზეწოლას, ხდები საზოგადოებიდან გარიყვის მსხვერპლი.

11. საერთაშორისო სიახლეები ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით

11.1. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება უვადო პატიმრობასთან დაკავშირებით

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე „ბოდენი საფრანგეთის წინააღმდეგ“[1] ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის დარღვევა არ დაადგინა. განაცხადი ეხებოდა განმცხადებლის უვადო პატიმრობას სასჯელის შემცირების შესაძლებლობის გარეშე და ეროვნული სასამართლოს განაჩენების დასაბუთებულობის საკითხს.

2007 წლის 11 ივლისს პირველი ინსტანციის სა-

1 Bodein v. France, განაცხადი №40014/10

სამართლომ განმცხადებელს უვადო პატიმრობა მიუსაჯა სამი მკვლელობისთვის, მათ შორის, ორი თხუთმეტ წლამდე არასრულწლოვნის მკვლელობისთვის, რომელთაც წინ უძღოდა ან თან ახლდა მსხვერპლთა გაუპატიურება. ბოდენმა მის მიმართ გამოტანილი განაჩენი გაასაჩივრა, თუმცა სააპელაციო სასამართლომ ძალაში დატოვა უვადო პატიმრობა და პირველი ინსტანციის სასამართლოს მსგავსად დაადასტურა, რომ განმცხადებელს არ მიეცემოდა სასჯელის შეცვლის შესაძლებლობა. საკასაციო სასამართლომ ასევე არ დააკმაყოფილა განმცხადებლის საკასაციო საჩივარი.

საქმის ფაქტობრივი გარემოებების შემოწმების შემდეგ, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ჩათვალა, რომ სამართალწარმოებისას განმცხადებელი უზრუნველყოფილი იყო სათანადო გარანტიებით, რათა მისთვის ნათელი ყოფილიყო, თუ რატომ იქნა მიჩნეული დამნაშავედ. შესაბამისად, სასამართლომ საქმეზე არ დაადგინა კონვენციის მე-6 (1) მუხლის დარღვევა.

სასამართლომ, პრეცედენტულ სამართალზე დაყრდნობით კიდევ ერთხელ აღნიშნა[2], რომ უვადო პატიმრობა არ ეწინააღმდეგება კონვენციის მე-3 მუხლს, თუ მსჯავრდებულს აქვს „გათავისუფლების პერსპექტივა“ და ეროვნული კანონმდებლობა ითვალისწინებს „სასჯელის გადახედვის“ შესაძლებლობას.

სასამართლომ განაცხადა, რომ წევრ სახელმწიფოებს გააჩნიათ შეფასების ფართო ზღვარი ასეთი განხილვის ფორმის შერჩევაზე, ისევე, როგორც იმის განსაზღვრისას, თუ სასჯელის რა ნაწილი უნდა მოიხადოს უვადო პატიმარმა, რათა მიეცეს სასჯელის გადახედვის შესაძლებლობა. სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ შედარებით სამართალში დამკვიდრებული ტენდენციის თანახმად, უპირატესობა ენიჭება მექანიზმს, რომელიც ითვალისწინებს სასჯელის გადახედვის შესაძლებლობას თავისუფლების აღკვეთიდან 25 წლის შემდეგ.

სასამართლომ აღნიშნა, რომ განმცხადებელს შეეძლო მიემართა საფრანგეთის პრეზიდენტისთვის შეწყალების თხოვნით. გარდა ამისა, საფრანგეთის კანონმდებლობა, კერძოდ, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, ითვალისწინებს 30 წლიანი პატიმრობის შემდგომ სასჯელის გადახედვის შესაძლებლობას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ დაადგინა, რომ საფრანგეთის კანონმდებლობა ითვალისწინებდა სასჯელის გადახედვის და შემცირების შესაძლებლობას კონვენციის მე-3 მუხლის მიზნებისთვის. შესაბამისად, ადგილი არ ჰქონდა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას.

2 იხ. ვინტერი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Vinter and Others v. The United Kingdom), განც. ნო. 66069/09, 130/10 და 3896/10, 2013 წლის 9 ივლისი, პარა. 122.

12. სახალხო დამცველის აპარატის ამბები

12.1.

3 ნოემბრიდან დევნილთა და კონფლიქტით დაზარალებულ სხვა პირთა საკითხებში საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის დახმარების პროექტში მუშაობა დაიწყეს თამთა პაპუაშვილმა და აკაკი კუხალეიშვილმა.

12.2. ტრენინგი საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლებისთვის

ნოემბრის თვეში დაიგეგმა და განხორციელდა თანამშრომელთა ცნობიერების ამაღლების სასწავლო ტრენინგები გენდერის ძირითად საკითხებსა და ქალთა უფლებებზე - „გენდერი, სტერეოტიპები და თანასწორობა“.

ტრენინგში მონაწილეობა მიიღო სახალხო დამცველის აპარატის 86 თანამშრომელმა, როგორც თბილისის ასევე რეგიონული ოფისებიდან, მათ შორის, მენეჯმენტის და ადმინისტრაციულ-ტექნიკურმა პერსონალმაც.

ტრენინგს უძღვებოდნენ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის გენდერული თანასწორობის დეპარტამენტის ხელმძღვანელი ეკატერინე სხილაძე და დეპარტამენტის კონსულტანტი ქალთა უფლებებზე ანა ლობჟანიძე.

ტრენინგები ჩატარდა ევროკავშირის პროექტის „საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის გაძლიერება“ მხარდაჭერით.

12.3. თანასწორობის დეპარტამენტი

24 ნოემბერი. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში დასრულდა თანასწორობის დეპარტამენტის ფორმირების პროცესი, კონკურსის წესით შეირჩა თანასწორობის დეპარტამენტის უფროსი და მთავარი სპეციალისტები.

თანასწორობის დეპარტამენტის უფროსის თანამდებობაზე დაინიშნა მაკა გიოშვილი, რომელიც 20 ნოემბრიდან შეუდგა უფლებამოსილების განხორციელებას.

ნოემბრიდან თანასწორობის დეპარტამენტში ასევე მუშაობა დაიწყეს მარიეტა ახვლედიანმა და გიორგი კაპანაძემ.

12.4. საქართველოს სახალხო დამცველის საპარლამენტო მდივანი

ნოემბრიდან ევროკავშირის პროექტის „საქართველოს სახალხო დამცველის ხელშეწყობა“ მხარდაჭერით საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში საპარლამენტო მდივნის პოზიცია შეიქმნა

და კონკურსის წესით ამ თანამდებობაზე ეკატერინე ფოფხაძე შეირჩა.

ამავე პროექტში სამართლებრივი ექსპერტის პოზიციაზე მუშაობა დაიწყო სოფიო ასათიანმა.

12.5. სახალხო დამცველმა დასაქმების ადგილზე სექსუალური შევიწროების პრევენციისათვის შიდა უწყებრივი რეაგირების მექანიზმი დაამტკიცა

25 ნოემბერს საქართველოს სახალხო დამცველმა სექსუალური შევიწროების პრევენციის პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტი დაამტკიცა. ეროვნული და საერთაშორისო კანონმდებლობით განმტკიცებული დისკრიმინაციის ამკრძალავი ნორმების პრაქტიკაში განხორციელების მიზნით, სახალხო დამცველის აპარატმა აიღო ვალდებულება, თანამშრომლებს შეუქმნას სექსუალური შევიწროებისაგან თავისუფალი და უსაფრთხო სამუშაო გარემო.

საქართველოში დასაქმების ადგილზე სექსუალური შევიწროება კვლავ რჩება ტაბუდადებულ თემად, რომელზეც არ საუბრობენ, ერთი მხრივ საზოგადოებაში არსებული განწყობების გამო და მეორე მხრივ შემთხვევაზე რეაგირების მექანიზმების გაუმართაობის/მოუქნელობის გამო, რადგან საქართველოს კანონმდებლობა არ იძლევა სექსუალური შევიწროების ცნებას. ამ პროცესში კი განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს შიდა უწყებრივი მექანიზმების არსებობას.

საქართველოს სახალხო დამცველი მოუწოდებს საჯარო თუ კერძო დაწესებულებებს გაიზიარონ სახალხო დამცველის გამოცდილება და შიდა უწყებრივი რეაგირების მექანიზმების დამტკიცებით ხელი შეუწყონ დასაქმების ადგილზე სექსუალური შევიწროების წინააღმდეგ ბრძოლას.

12.6. მომართვიანობის სტატისტიკა

ნოემბრის თვეში სახალხო დამცველის აპარატში შემოვიდა 664 განცხადება.

დასაშვებობის გავლის შემდეგ 585 განცხადება სამსახურების მიხედვით შემდეგნაირად გადანაწილდა:

- პრევენციის და მონიტორინგის დეპარტამენტი - 6
- მართლმსაჯულების დეპარტამენტი - 348
- რეგიონული სამმართველო - 134
- ბავშვთა ცენტრი -31
- გენდერული თანასწორობის დეპარტამენტი -20
- შშმ პირთა ცენტრი - 30
- ანალიტიკური დეპარტამენტი-6
- თანასწორობის დეპარტამენტი-10



13. კონტაქტი

თბილისი:
ნინო რამიშვილის 6. თბილისი 0179
ტელ.: +99532 2234499 / 2913814 / 2913815 / 2913841 / 2913842 / 2913843 / 2913875 / 2913876 / 2913877
ფაქსი: +99532 913841
ელ-ფოსტა: info@ombudsman.ge

ბათუმი:
მაზნიაშვილის ქ. 9
მობ.: 577 50 52 31
ტელ.: 0422 27 05 44

ზუგდიდი:
კოსტავას 58
მობ.: 577 50 52 34
ტელ.: 0415 22 36 11

ახალქალაქი:
ჭავჭავაძის ქ. 4
მობ.: 577 12 27 70 ;
577 12 27 71
ტელ.: 0362 22 32 83

თელავი:
ჩოლოყაშვილის ქ.36
მობ.: 577 048267
ტელ.: 0350 27 99 27

ქუთაისი:
რუსთაველის ქ. 18
მობ.: 577 55 33 81
ტელ.: 0431 25 33 50

გორი:
სამების ქ. N1
მობ.: 577 78 27 42
ტელ.: 0370 27 05 49

მარნეული:
რუსთაველის ქ. 51
ტელ.: 0357 22 19 70

რედაქტორი: თეონა გოგოლაშვილი
სარედაქციო კოლეგია:
თამარ ხიდაშელი,
თეა ბაციკაძე